№ 2 აპრილი, 1913 წ. გამოტ. 8 ფასი 5 კაპ.

საოხუნჯო ალმანახი

აკრ-ბაკრი

გამოვა დრო-გამოშვებით. მასალები გამოიგზავნება „შრომის“ სტამბაში, ალმანახისათვის.



„კვანტის“ ტრიალი თფილისის ქალაქის გამგეობაში.

— ეგ რა გვიყავი შე „რაზბონიკო“?
— ჯერე დაიცათ, ბარე ორი პანლური მოგზვდებათ სანამ მომიშორებდეთ.

11 592

Библиотека-Музей имени Акад. И. Грушевского Академия наук

ქართველ ინტელიგენციას

როდესაც მუშას, მძიმე ტვირთი აწევს და სძალავს,
მაშინ ის მწარე შეჭირვებას ვეღარა ჰმალავს.
მუხლები უთრთის, თვალნი ცრემლით იყურებიან,
ოფლი სხეულით წვეთ-წვეთებათ იწურებიან...

—

მსგავსათ ამისა, ოდეს ერში გამოჩნდებიან
გლახაკნი, მწირნი, და ქვეყანას მოედებიან,
მოკლებულია მაშინ ერი ლხინსა და შვებას,
და ერთეულათ იტანს იგი დიდს შეჭირვებას!..
თუ რომ გადვიტანთ ამ მოვლენას
ჩვენს ტანჯულ ერზე,
ეს ტვირთი მხოლოთ მშრომელ ნაწილს
აძევს კისერზე...

ისინი მძიმე ტვირთ ქვეშ უღვთოთ იტანჯებიან
მათი გოდება გმინვა კვნესა ზეცას სწვდებიან,
მაგრამ დამხმარე დ მშველელნი არსად ჩრდებიან
ამიტომ მათგან მხოლოთ მწირნი იბადებიან!..

—

სადა ხართ ძმანო! ინტელიგენტს რომ გიწოდებენ
ნუ თუ არ გესმით, ძმანი თქვენი რასა ჰგოდებენ?!.
რათ ეჩვენებით მათ მაღლიდან მეტის დიდებით?
როგორც ვადამდებ სენიანებს, რათ ერიდებით?!.
თქვენს სახელს ხომ ვერ დაამცირებს მათი სახელი?
მაშ მოდით მათთან გადაჰხვიეთ მათ ძმურათ ხელი,
გონების თვალი გადაავლეთ მათს მტანჯველ წესებს,
გამოიძიეთ, რა აწუხებს და რა აკვნესებს,—

ᲐᲗ თავის მტერს მოსისხლე მტერი
ᲔᲗ რამ წამალი, მათ შესაფერი!..
ᲕᲔᲜ ყვავილი ხართ თქვენი ერისა
ᲒᲘᲡᲔᲑᲘᲡ ტურფა ფერისა,
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ სჯულის მდებელი,
დაᲘᲛᲝᲠᲔᲑᲗ იწყებთ მათ გმობას
ᲠᲠᲐ გიხსნისთ
ᲕᲤᲘᲪᲐᲕ თქვენს ძმობას,
მშვენიერი ხის ჩამოხმობას'...

ᲜᲝᲨᲠᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲘᲛᲓᲔᲠᲐ

—

მიყვარს ხალხი, მათში ვიშვი,
მათთან ტანჯვით გავიზარდე;
მათ მივემხრე, მათ შევეტკბე,
მათთვინ მსხვერპლათ თავი დავდე.

—

ვიცი ხალხი, მუშა ხალხი—
დამაფასებს, შემიწირავს,
ლხინის დროზე ჩემთან იმღერს,
ჭირში—მიძმობს, არ გამწიოავს.

—

ხალხი მიყვარს, მის გარშემო
დაპარპაშებს ჩემი სული,
მისთვის ვჭიმავ სიმებს ჩანგზე,
რომ უმჩატო მღერით წყლული,

—

მაშვინც მიყვარს, როს ძალის წინ
უკან იხევს ჭკვა-გონებით,
ითმენს ტანჯვას, ალღოს ეძებს—
არ იბრძვის სხვის შთაგონებით.

—

ვიცი მათში არ ჩამქრალა,
სამუდამოთ ნაკვერჩხალი,
კვლავ დაჰბერავს ქარიშხალი,
გაღვივდება ცეცხლის ალი.

—

ვიცი, ხალხის საიდუმლო,
მათთან მინდა—ვმღერო, ვკნესო
და კვლავ მათთან—ბედის ჩარხზე
ნამგალს პირი გაულესო.

ᲨᲮᲐᲜᲙᲝᲚᲐ.

წერილი ბენიასადმი

ძმაო ბენი! რადგანაც შენ ცოტა მოქანცული ხარ, ამიტომ აღარ გაგსარჯე და მე მივიარ მოვიარე ჩვენი მშვენიერი თბილისი.

ᲚᲠᲣᲑᲚᲘᲐᲜᲘ დილა იყო, ვარაზის ხევზე გამოვიარე, იქ სადაც სახელმწიფო ღვინის საწყობია, უდელი. ოჰ, ღმერთო! მე მცხვენიან ამდენჯერ ამაზე წერა და რატომ ჩვენი ქალაქის მამები არაფერს ფიქრობენ!?*) ტალახი საკენ ნახევარი იქნება, ტბა დგას უშველებელი, ნეტა გაიგოთ თუ ბაყაყებს რა ყოფა აქვთ ამ ჭაობში! ნამდვილი კონცერტია! ვუგდებდი ყურს და თან ვფიქრობდი: თუ ქალაქის გამგეობა არ აქცევს ყურადღებას, ნუ თუ თვით უდელის მუშები არასა ფიქრობენ იმგვარ საქმეზე, რაც მათი ჯანმთელობის მაინებელია?!

საკვირველია, საოცარია,
ადამიანი ნუ თუ ცხვარია?
იქნებ არიან მუდამ მთვრალები,
რომ ვერ გააღეს ამათ თვალები?!

—

ᲬᲧᲜᲔᲗᲘᲡ ქუჩაზე ქართველების სამოლის ქარხანაა, შევიარე. რაღაცა ცუდი სუნი მეცა. მუშები გაფაციცებით მუშაობდენ კაცო. მომმართა ერომა მეგობარმა, ამისთანა ცეცხლი გინახამთ? საწყალი კაცი იოსებ დავითაშვილი გარდაიცვალა, ორმოცი წელიწადი აქა მუშაობდა, პანაშვიდზე წავედით, (მუშაობიდან თავისუფლები ვიყავით) ჩვენი ზედამხედველებიც იქა ბრძანდებოდენ. დამარხვის დღეს კი კატეგორიული უარი გამოგვიცხადეს: „დასაფლავებაზე თქვენი წასვლა არ შეიძლებაო!“ რაღას ვიზამდით? ხომ გაგიგია; „ვირი რომ შენი ბატონი იყოს, „ჰაცეს“ ნუ ეტყვიო!“ ახლა ამასა ვფიქრობთ, ეს ამოდენა კაცები აქა ვბერდებით, ერთმანეთის ჭირი და ვარამი ვიცით, თუ კი ამ შავ დღეში ვერ გავიხარებთ ერთმანეთში, მა რა ოხრობათ გვინდა ამათი სამსახური?“. —ვისი ბრალია თქვენი არ გაშვება, თქვენი უფროსები ვინ არიან?—შევეკითხე. —ვინა და თითონ უფროსი ზედამხედველი დეკანოზი სვიმონ ჯაჯანიძე და მისი თანაშემწენი, მიქელაძე და ნათიძეო. —რა გიყოთ, ჭინჭარი შემომაკლდა, სამაგიეროთ ვინახულებ და დიდ აურ-ზაურს აუტეხ მეთქი, დავბირდი.

—

გავიარე ფიქრი-ფორისაკენ, ჭიდაობა გამართულიყო. სხვათა შორის მშვენიერათ იჭიდავა ერთმა სათავად.აზნაურო სკოლის მოწაფემ, მაგრამ რას იზამ ყველა ბედია! ჭიდაობას ხელი შეუშალეს პოლიციელებმა და... მოწაფეც პოლიციაში მიაბძანეს!

*) ჩვენი ქალაქის მამებს ეხლა ტაფიქრალი სულ სხვა აქვთ და ქუჩებისათვის ვიღას სტალინ, შე-დალოცვილო!.. ძაღლის თავი თვით უპრავაში დაუმარხია ვიღაც ბოროტ სულს და მისი სიმყრალით ვეღარ სძლებენ საკარძელში ჩვენი „მამები“.

მეორეთ ვაკეში მოიყარა ხალხმა თავი. „სუ-ხარნიკებს» ქალებთან უნდოდათ თამაში. «ფალავ-ნებს“ კი ჭიდაობა! და აქ...

აირია მონასტერი,
რა დრო არის ეს ოხერი!
გაიმართა დიდი ჩხუბი...
(შევარცხვინე მასთან კლუბი!)
რა სახრე და რა კეტები,
აირივნენ ეს ცეტები!
ზოგმა თვალი შეიხვია,
ზოგმა კიდევ მკლავი,
ზოგ-ზოგი გაიძახოდენ:
,,ვაი, დედა თავი!''.

აფერუმ ყმაწვილებო! კარგი უნივერსიტეტი გაქვთ, ვაშა!..

მ. ლელაშვილი.

ᲔᲚᲔᲒᲘᲐ.

ღამისა გუშაგს შუქ მონარნარეს
სევდის ღრუბელი გადაჰფენოდა,
ფიქრებს მოეცვათ ჩემი სამშობლო—
თვალზე ცრემლები გადმოსდენოდა.
ჩასძინებოდა ტურფა მთა და ბარს
და ძილშიაც კი ოხვრა ხდებოდა,
ტანჯული ერის ამონაკვნესი,
გლოვის ზარივით გაისმებოდა.
კვნესა ერისა ძილში კრთომილსა
კაეშანს მგვრიდა, გული კვდებოდა,
ჩემი წუხილი და მოძმის ოხვრა—
სევდიან ღამეს უერთდებოდა

შ. დავლაშერიძე.

მესტვირული.

თავს გადამაშპა ზამთარი,
მაინც მიდგანა სულია!
აგერ, ხეები ამწვანდა,
მიწა—პირ მოქარგულია,
ჩიტებიც—მხიარულობენ
და ერთი ჟრიამულია;
თუ ხალისდება ქვეყანა
მე რათ ვაკვნესო გულია?!.

—

აბა, დაჰბერე ქამანჩავ,
სტვიროჯან იწყე წკრიალი;
ერთი ოზურგეთს წავიდეთ—
„თავისთვის“ რომ აქვთ ბრიალი.

დახავსებული „მამები“—
არ სჯერვენ—ჩაითრისაო!
ზნეობით გაკოტრებულებს,
აღარ ევსებათ ქისაო!
ახლებსა საქმეს უფუშვენ,
პანღურ ამონადრუზები,
მწვავეთა იკბინებიან—
ვით შემოდგომის ბუზები!..
„იქაც“ რომ ხელსა უწყობენ!—
არ დაუმტკიცეს თავია!
ნუ თუ ფიქრობენ—ღულაძე
არ იშოვება სხვაია?!.

—

აქ ნესტორს გავეცნობილოთ,
ელიაძეთა ხმობილსა,
სხვის კარის-კარზედ მღოლავსა,
შვამავლათ გამოწრთობილსა;
ნაკეშვარ ტახს რომ წააგავს,
(აზეფი სერგოს ძმობილსა,
ტუზების „ტელოხრანიტლებს“
და ხალხისაგან გმობილსა).

—

იქიდან გავსცხოთ, ვესტუმროთ
დიმიტრი შავი-შვილსაო,
იქ ძლევის-კარის მღვდელს ვნახავთ—
მდგმურია ცოლ-შვილითაო!
ლომინაძნებიც იქ ყრიან—
არაჩხუნებენ ნარდსაო!
თუ სადმე რამე იშოვეს
აქ დასტოვებენ ხვავსაო.
თუ ვინმე მღვდელსა მიიწვევს,
საწირავ-სანათლავშია,
აკირკლავს, ყველას წაასხამს!
თუ ვინმე კი ჰყავს სახლშია!
ვიდრე გალანძღვენ, ღმერთმანი
უჯობთ დაეხსნან ხუნტრუცსა,
რა უნდა მუშაობის დღეს,
აქ ორმოცს შემოკუნცხულსა!..

—

იქიდან წამოვხრიგინდეთ
და ლანჩხუთში შევისვენოთ,
ერთი აქაურ ინსპექტორს,
შორიდან წამოვეჩვენოთ;
ურჩიოთ—გრძნობას მოვიდეს,
ნუ დადის ჩერჩეტულათა,
ვარგებულ მასწავლებლებსა
ნუ ეკიდება მტრულათა.
ამავ დროს—ნერვებ აშლილებს,
ვინც ბავშვებს ფურთხით უვსებს თვალს,

მოწყალე კალთას აფარებს,
ვკითხოთ რა ზნე სჭირს ამ საწყალს!..

—

იქიდან ჩაუღიღინოთ—
სადგურის უფროსს სერგოსა,
უთხრათ ნუ იღებს „იმასა“,
კანონით რაც არ ერგოსა.
რათ გააძევა დოლიძე,
დიდი ხნის ნამსახურია!
რათ გლეჯს სხვა მუშებს, რათა აქვს
მათი მტრობა და შურია!..

—

პიი— პი, პიუ-პუ, ქამანჩავ!
რათ დამეჩუტე ტიალო?!.
აქაცა დამრჩა, სხვა ფოთშიც
როღაის ავაწრიალო.

ხიც-ხიც.

მემარჯვენე დეპუტატების კონცერტი,
ანუ პურიშკევიჩის ხორო.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(გურიანთისათვის)

გამოცანას გეტყვით, მარა
ძნელი ასახსნელიაო,
თანაც კოხტა ყმაწვილია,
თანაც ჭკუა თხელიაო!
იგი რაც ჩვენ მოგვევლინა
თითქმის ათი წელიაო,
სანავარდოთ გაუხდია
მას ჩვენი სოფელია!..
სიტყვით—ვითომც „ექიმბაშობს“
და ხალხისა მხსნელიაო,
მხოლოთ საქმით—მისი საქმე,
მართლაც საცინელიაო.
ყოფა-ქცევით მხიარულობს,
გონებით კი—ბნელიაო!
როცა გვინდა, მაშინ იგი
მუდამ საძებნელიაო!.
ისე უყვარს ბნელში ძრომა,
როგორც მელას—ხვრელიაო!
თავის „საკუთარს“ გაურბის,
სხვისი—საყვარელიაო!..
„კამპანიას“ სადაც ნახავს
ყველგან „მასპინძელიაო“
და ღვინოს ვერ მოაშორებთ,
რომ მოსტეხოთ წელიაო!
ტოლუმბაშათ დაგიდგება,
(თუმც ვეფერი მსმელიაო),
მაგრამ რაკი აშლილი აქვს—
„ლხინის“ საღერღელიაო,
არ დაიშლის, „მაყრათ“ წავა,
წაიმღერებს—„დელიაო“!
(საზოგადოთ ეს ყმაწვილი
მეტათ უდარდელიაო).
ცხენზე მაშინაც შეჯდება—
ძალზე რომ „ფხიზელიაო“
და ამისგან მისი გვერდი
ბევრჯელ დანაზელიაო!
აწი კმარა, გავჩუმდები,
ლექსი შემომელიაო...
თქვენ მაინც ვერ გამოიცნობთ—
ვინ არის, რომელიაო!*)

წკიპარტი.

*) ამ გამოცანაში თავის-თავს ვინც იცნობს, მას საჩუქრათ გაეგზავნება ჰინპარის თაიგული—სასუნებლათ.

ბეშტია.

გურილი სცენა

ყაისარიის ნაამბობი.

შეგვიჯდა რაცხა და ვერ დივეტიეთ ჯორკოზე, ვთხოვეთ მთავრობას, მიეცა ერთი სათითური რაცხა კლასი რომაა. დიდი ღლიტინის შემდეგ, გაგვიხსნეს და მოგვიბრძანდა უჩიტელნიცა მარა რა უჩიტელნიცა, ავ თვალს არ ენახება, რა "სორტის და როსტის" ყმაწვილები გინდა, მას არ ეხოვოდეს. გააწყალა დერგის ძირზე ყველი; აცხობს და აცხობს ბრინჯულებს, მოდიან და მოაქვთ კავალერებს— „რაზნი კამფეტები", გამართავენ ცირკს და არის დიდი უშველებელი: ხტუნაობა-კუნტრუშობა, წივილაი-კივილაი, კისკისაი და ტკარცალაი—ასე რომ უჩიტელნიცა კი არა, ცხონებული მაკაიე საჯაროთ ამას არ კადრულობდა რასაც ეს მამაცხონებული შობა. „ჩითახოს რეცხდენ (სოდით და საპნით უთუოდ) და ვარესი წვენი მისდიოდაო", სწორედ მაზეა გამოკვარაჭინებული. ბევრი გზობა გაჩოთქ-გამოჩოთქეს გაზეთში მარა, მაინც ვერცხლის წყალივით ხან იქით დარბის და ხან აქეთ და ბაღნები ნახევარჯელ მომცდარია. სწავლებას იწყებს მაშინ, როცა სხვა კლასიდან ბაღნები შინ მიდიან და ადექიდაჯექით „სტუანტე-სადიტეს" შემდეგ სხვა კლასის ბაღნებს ზურგში გამოაკიდებს. გუშხამ კოლიეი მწერლის ცოლმა კინელამ ბატივით გაპუტა, რეიზა წვრილი ცოლ-შვილით დაყურულ კაცს ეხუნტრუცებიო. თურმე კოლიას ბუდე კლასში აქვს და აცანაში აღებულ ფულს, მასთან ერთათ „კუშაით". ამას წინათ ბაღანაი კლასში მეგულებოდა და შით კაკალ ლანჩხუთში ვნახე თავ-ფეხ შიშველაი! ამისთანა თოვლ-ჭყაპში და ქარ-ბუქში სიცივისგან სულ გალურჯებულიყო და კბილს კბილზე ატახუნებდა აღდგომის კეერცხივით. ვიღაცა ხუცესი კოლიათ მოჩვენებოდა და უჩიტელნიცის გატანებული წერილი ხუციზა მიეცა. ხუცესს წერილის წაკითხვაზე ფერი ეცვალა და თავისთვის ასე ჩაიბურდღულა თურმე! კოლიას ჯერ გავბღღვნი და მერე შევაჩვენებო... გოსპარიანცი ინსპეტური მისი დიდი წყალობელი და "ზნაკომია". კიდევაც დაპირებია 80 ქანქრიან ადგილის შოვნას ბათუმში, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვცილდება და ისე ძალიანსაც გვექადნება:

სკოლის დახურვა თვარ გინდათ,
ყურში სარსა შეირჭობთო!
ჩემ ცუდ ჩადენილ ამბავსა
მაშინ ველარ შეიტყოფთო.

თემუყაი.

აფორიზმები.

(ნიმეტურიდან)

10

კეთილი რჩევა.

სამოთხე ღვთისა, ხალხში შენდება: ძმობა, ერთობით და სიყვარულით.

გლეხისთვინ მარტო მიწა არ არის საჭირო, არამედ ცოდნა, თუ როგორ უნდა დამუშავდეს იგი.

კარგათ ხარ უფრთხილდი, ავათ ხარ—იაქიმე.

ბოროტებას ებრძოლე, ბოროტს შეურიგდი.

ბუნება— მშვენიერი წიგნია, მხოლოთ ყველა ვერ კითხულობს მას.

ქალი რომ ანგელოზობს, შეეცადე კაცმა ღმერთათ გახდომა, თუ არ გინდა ჩაიქოლოთ.

11.

რა არის ქალი?

ქალი გამონაკლისი—დედაა ყველაზე უწინ.

ქალი—ბუნების შეცდომაა.

ქალი—ჯვარია კაცის საფლავზე

ქალის გაღიმება მშვენიერი იარაღია მის არსენალიდან გამონასროლი—კაცის დასამარცხებლათ.

ელეკტრიკი.

კითხვა-პასუხები.

(ვუძ. ლანჩხუთის რაიონის დულცინეებს)

ქალი. შენ ჩემო გულიკო, მეყვარები მუდმივ.

კაცი. ჯვარის წერის შემდეგაც?

ქალი. ? ?

—

— რისთვის არ ირთავთ დულცინეს?

— ღმერთმა დამიფაროს! იმას ფიზიკური ნაკლულება აქვს.

— რას ამბობთ კაცო! რაა?

— ენის მაგივრად—ლანჩხუთის ზარი!

ვალენტინ.

მარჩიელი.

ატანელოვი იოსებ,
თურმე მკითხავი ყოფილა,
ეს საძაგელი დახედეთ,
ხალხის მძარცველათ შობილა.
შუა-ბაზარში ბინა აქვს,
ვიღაცა მაიმუნია,
რატომ არ იცის ამ მხეცმა,
ეს საქმე დასაწუნია?!
შეუგნებელ ხალხს ატყუებს,
აბაზებს იღებს ჯიბეში,
არ იცის მათი ცოდვითა,
წაიჩეხება კიბეში!?

წინაწინ იყო მეეტლე,
ფაიტონს ერეკებოდა,
ფულსა პარავდა ხაზეინს,
ამითაც ვერა ძღებოდა!

გაუგეს, გამოპანღურეს,
ოსებ დარჩა მშიერი,
ბოლოს კი დადგა „დვორნიკათ“
ხელში კეტითა ძლიერი!

მას შეეშალა ნახტომი,
რადგანაც სომდა ღვინოსა,
„პოსტზე“ ვერ დადგეს ნასვამი,
მიწვეს და მიიძინოსა!

ამოუჭირეს პანღური,
საქმე აქვს სატირელია,
რომ ვერაფერი ვერა ქნა,
ეხლა კი მარჩიელია!..

შმაგა.

ა უ რ-ზ ა უ რ ი

(დაბა-სოფლებში).

სამტრედია. ვ—დიას თავშესაფარი, დედა სოფიოს ოჯახი დროებით დაიკეტა, ლამის არის ქლექში ჩავარდეს, იმედია მოეშველებით და ჭინჭრის კონით გაართობთ.

— შანტეკლეროსან ბარიშნებმა გაფიცვა მოახდინეს. გაზაფხულდა და უტუმალობიეს თამაში გვინდათო. გვეყოფა რაც სუსხიან ზამთარში ვიმუშავეთო. მაგრამ დახეთ მათ უბედურებას, მარტის თვემ თავისი ქნა და სიცივეებმაც მოუჭირა. ავათ შეგვექნა სადგურის ბაქანზე მოხუნტრუცე ბარიშნები ფილტვების ანთებით რიცხვით 906, ჩვენი ექიმების შემწეობით 300 უკვე გარდაიცვალა, დანარჩენს—606-ს სწამლობენ.

— ლ—ევს ენის ფხანა აუტყდა. გამოცდილმა ექიმმა კიკაჩეიშვილმა ჭინჭარის ფურცელი გამოუწერა ზედ დასადებათ დღეში სამჯერ. გამოგზავნეთ ფას-დადებით.

— მ ძემ უ—ძეს ქუჩური სიტყვებით რომ ვერაფერი დაიკლო ეხლა ჭიდაობაში გამოიწვია ის—დო—ს თანადასწრებით. ვნახოთ რა იქნება.

კოდარა.

—

ჭიათურა. ამ მოკლე ხანში ჭიათურაში გამოვა სოლომონ ქაცარავას და სერგო ისაევის რედაქტორობით ყოველ-კვირეული ჟურნალი „ფაბრიჩნაია კნიჟკა“. ამ ჟურნალში მარტივათ იქნება ახსნილი, თუ როგორი ფორმით გადაახთევიოს პოდრიაჩიკმა მუშებს სამთო-მადნო კნიშკების ფული.

ნარ-ეკალი.

—

ქუთაისი. აქაურ კლასიკურ გიმნაზიის მოწაფეებს გადაუწყვეტიათ თავი „მოიწამლონ“ მიზეზი ორნაირია: 1) მასწავლებლები ამბობენ—„რომანიული“ არისო 2) მოწაფენი ამბობს—რაც არ გვერგება იმდენ ედინიცებს ვეღარ გაუძღებითო.

— დაარსდა ქალთა წრის სახლი—„ბნელეთი“ ქვარიანების ქუჩაზე. უჩენიცები სიხარულით ეწერებიან წევრებათ.

ქუთათური.

—

ვანი. საოხუნჯო ლექსის წერა,
დაცინვა, თუ ირონია,
თუნდა ზედაც დაადულო
ჯვარ-ბარძიმი, მირონია,

მაინც ვერას იზამ ვანში,
ისე წახდა პირ-ნამუსი;
მას სჩადიან, რასაც არ იქმს
ფედერალი, „წმინდა რუსი“!..

მიწას ყიდის მემამულე,
ქანქრები რომ დასპირდება;
მყიდველს ტკბილი ენით თაფლავს,
რას იტყვით, რომ არ ჰპირდება.

შემდეგ ვექსილს—ვექსილზე სცემს,
ამათილებს თამასუქებს;
მით ღირსებას ტალახში სვრის,
გლეხს ატყავებს, თავს ასუქებს!

მიწას ართმევს უსინდისოთ—
მიდი-მოდის—ეცინება,
სიმრუდის დროს—თვალებს პრაწავს,
სიმართლის დროს—ეძინება!

პირველათ ესე ინება
თავადმა ერემიამ,
ორმოცი თუმნის ქანქრები
ელიზბარ—კორძის იამ!

მეორეთ ფული აიღო,
ჯიბეში ჩაიჩხრიალა
და დროშა „ატკაზობისა“
ჰაერში ააფრიალა!

სხვებს აპატია გულ-უხვათ,
სიხდისმა გაუხიცინა;
ჰარმათ ნაშოვარ ფულებით,
იქეიფა და ილხინა!

მეორე გმირი, იცოდეთ,
აზნაურ ალექსანდრეა;
(„ალიაქოთის“ ნომერში
რომ გაგაცანით ადრეა!)

თურმე, რაც ადგილსა ჰყიდდა
ყველას სწერავდა სიაში..
გლეხებმა ეშვი აიღეს,
„უდურთეს“ სამტრედიაში.

გაიგეს: ცოლის ძმაზედა
გადაუცია ქონება
და ამის მომსწრე გლეხებმა
ლამის დაჰკარგეს გონება!

ალემ, თუ გლეხებს უმტერა,
არც ნათესავი დატოვა;
გაუფარდებელ მამულზე,
სიუხვე ბევრი დათოვა!
მამა არ გამოყოფია,
შვილი ეძგერა გულითა...
ამბობენ: „მაინც ერმილი,
საქმეს გაიტანს ფულითა!“
მაგრამ, საწყალმა გლეხებმაც
უნდა დახარჯონ ფულები,
ჭირისა ოფლით ნაძებნი
და სიმწრით მონახულები!
უნდა გააძლონ ვექილნი,
უნდა ეთრიონ სუდებში
და გაიხლართონ თავ-ფეხით—
ობობას აბლაბუდებში!..

ვაშა-ბაქურა.

—

პატარა-ონი. სამიკიტნო დუქანი, ერთად-ერთი ადგილი, სადაც ადგილობრივი ინტელიგენცია საღილობს, სისუფთავით და სიდიდით ნამდვილ საღორეს მოგვაგონებს; შესვლისათანავე ვირთხები ხან ერთ კედელს აწყდებიან ხან მეორეს; ხშირათ თვით დამსხდარ სტუმრების თავებზე გადახტომიას თამაშობენ. თითონ მოკიტანი ს. ბ. არამც თუ ყურადღებას აქცევს ასეთ სისუფთავეს, წამომჯდარა დახლზე და შინაურ ცხოვილებზე ნადირობს.

— კანცელარიის მწერალ მამასახლისი და მოსამართლეები ნამეტან „ქელეხისტობას“ შეეჩვიენ, კანცელარიაში მათ ვერას დროს ვერ ნახავ. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ერთი კონა ჭინჭარი ამ ვაჟბატონების სათაქებლათ*).

საკვირაო.

—

სუფსა. ახალი პროგრამის ძალით, პირველ ამ თვიდან ვინც თავის ნებით გარდაიცვლება, მიცვალებულის ჭირისუფალმა უნდა იყიდოს აღაპის გასამართავად 30 ფუთი პური, 10 ფუთი ქონაის ლობიო, ორი ტომარა პრასა, ერთი ფუთი გორვალა თავის სანელებელით, 25 ფუთი ციცქის ღვინო. წინააღმდეგ შემთხვევაში მიცვალებულს სამოთხის კარებში არ მიიღებს ეშმაკის მოციქულები. მასთან სირცხვილიც არის, თუ ზედაშე დიდი ჭიქებით არ გადაუშვეს და თითონაც ყანწებით არ გადახუშეს.

სიკო.

—

*) ადგილობრივი ჭინჭარი იხმარეთ, რადგან ჩვენ შემოგგაკლდა ეს წამალი და ერთი „აურ-ზაური“ არის ჩვენს რედაქციაში.

ბეშტია.

დ. ამბროლაური. ორ კლასიანი სკოლის ერთ მასწავლებელს, მთელ ღამეებში კარტის თამაშობით დაქანცულს სკოლაში გაკვეთილის დროს თვალებზედ რული მოსვლია. ძილის დროს სიზმრათ უნახავს— ვითომც მას დაკარგვია უზალთუნი; ჯავრზედ უეცრად გაქანებულა და სკამიდან იატაკზედ გაუდენია ბრაგვანი.

— იმავე სკოლის მეორე მასწავლებელს— ქალებზედ ნადირობა შემოუღია, როგორც ამბობენ ერთი ქალი კიდევაც დაუჭერია.

— აქაური ქსენონი მართლაც, რომ ქსელს მოაგონებს ადამიანს, თუ გაგიწყრა ღმერთი, ავათ გახდი და დაწექი, ცოცხლათ გამოსვლას ნულარ ფიქრობ, სატკივარმა რომ არ მოგკლას—სიბინძურე მოგაბრჩობს. ფერშლებიც ხომ წამალს და მოვლას არ (მოგაკარებენ) მოგაკლებენ.

გეურჭა.

—

შუხუთი. ნასწავლებში ჩვენც ბევრი გვყავს
უკან ჩამორჩენილია,
დუქნებზე დროს ატარებენ,
ჭკუით გამოტენილია.
კვირით ჭკუის მსწავლებლები,
ორშაფათს - კარტს აოიგებენ!
ჩაწყობითი თამაშობენ,
იციან, რომ მოიგებენ.
ურგო შვილებიც გამრავლდენ—
მუდამ გალეშილებია,
ცუდი სიტყვების ხმარებით
თავ-პირ გატეხილებია.
დღეს გამხდარა ჩვენი საქმე
საგაზეთო ამბებია!
და მაგათი წამალია—
ჭინჭრიანი აბებია.

თემუკაი.

შმედელს და კამპანიას.

დიდი ხნიდან მოსულია,
ნავთის მადენს აღარ აჩენს;
ჩვენ სიტყვას და ჩვენსა თხოვნას
აღარ აძლევს ის განაჩენს.
სჯობს სათქმელი აშკარათ ვსთქვათ,
მიტომ გვაძლევს ღმერთი ენას:
ყველაფერში ჩვენ ვიჩაგვრით,—
სხვა განიცდის შვება-ლხენას.
რის შმედელი, რის ზიბერტი
მტერი არის ჩვენი ყველა,
ჩვენ ვწანწალებთ და იგინი
მიმოდიან ნელა-ნელა!

S 906
1913

რაც რომ გვითხრეს ტყუილია
დავინახეთ მრავალ-ხელა;
შესაჭმელათ მოგვდგომია
გაიძვერა კუდა-მელა.
საწყალ ხალხის ზურგზე უნდათ
რომ იძახოს „დელა-დელა",
მაგ ჩარჩმა და ღორმუცელმა
მთლათ სოფელი გამოწველა.
ბურღი, მურგი, მუშაობა,
არსად არის, არსად სჩანა!..
მოეტყუილდით, მოგვიეიდა
საქმე ცუდი — ამისთანა;
ხალხსა თვისი ჩააბაროს,
თვითონ გაჰყვეს სადაც უნდა
უსარგებლო მატყუარას —
მივაყაროთ ქვა და გუნდა.

ბუჯგუტი.

ბ. მეგრელიძის წერილის გამო.

ბ-ნო ბ. მეგრელიძევ! გეტყობა თქვენ აღარ ხუმროობთ, როგორ თუ უთაობა შემომწამეთ და მიწვევთ სამედიატორო სამართალში. თანახმად (ახალ ფორმისა) სადაც მემუქრებით, რაღაც არ სათქმელ საბუთების წარდგენას, თანახმა ვარ და ჩემ მედიატორებათ ვასახელებ: აფთონ ცინცაძეს და ფოკა ცქვიტინიძეს. საპირო დღეს გაახლებ ჩემ რწმუნებულსაც და ვკისრულობთ დაგიმტკიცოთ შეუფერებელ დროს კრების მიტოვება თავმჯდომარისაგან უთაობაა და ამასთან სრული უფლება უნდა ექმნეს მედიატორებს—იმსჯელონ სხვა თქვენ მიერ შეუფერებელ მოქმედებაზედაც თუ რასმეს წამოაყენებს ჩემი რწმუნებული.

ია—ძე.

„აურ-ზაურის" ფოსტა.

ლ ე ს ა. —ელაძეს. თქვენს გაზაფხულის ლექსიდან მხოლოთ ერთ საუკეთესო ტაეპს დაგიბეჭდავთ:

ჰეპელა დაფრენს მოუსვენარათ
ფუტკარი ბზუის ყვავილებზედა
და ათასგვარი ბუზი და მწერი
ერთათ ირევა მინდორ-ველზედა.

ეხ, ჩემო ძმაო! ამ გაზაფხულზე ზოგიერთების თავშიდაც აირევა „ბუზები", თორემ მინდორ-ველზე რა გასაკვირია.

—

გაფრინდაშვილს.— შენი „გაზაფხულიც" გრძნობიერათ არის დაწერილი, მაგრამ შეუსწორებლათ არ დაიბეჭდება და გასწორებას არ ვკისრულობთ ლექსებისას. ამ გაზაფხულის ბირზე რომ ლექსები მოგვაწყდება ის რომ ყველა ვასწოროთ, მაშინ ათი რედაქტორი მოგვინდება შე დალოცვილო.

—

ჭ ი ნ ა თ ი. ოდელიას. თქვენი დეპეშა მივიღეთ. ერთმა კაცმა მეორეს ტკუცა თავშიო, რომ იწერები, ეს ვერაფერი საგაზეთო მასალაა და ნურას უკაცრავათ თუ ჩვენც ვტკუცოთ კალათაში.

—

ა ქ ვ ე. ონოღელ ილიას.

თქვენი ლექსი წავიკითხე
ონოღელო ილია
და სიმართლე უნდა გითხრა—
ვერაფერი შვილია.
რომ ვარგოდეს დაგიბეჭდავთ,
რაღა საფიქრალია?
ჩვენ კი ნუ დაგვემდურები,
შენი „მუზის" ბრალია.

—

ა ქ ვ ე. კუკუს.—თქვენი მცირე მესტვირული იმის შესახებ, რომ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოწაფეებმა, აქ თფილისის ქუჩებში მუშტი-კრივის რეპეტიცია და ლანძღვა-გინების კონცერტი გამართეს 24 და 25 მარტსაო—არ დაიბეჭდება. ლექსად ვერ არის კარგი გამოყვანილი.

—

ჯ უ რ უ ყ ვ ე თ ი. კიწავას.— კი წავა თქვენი ლექსი, რომ ლექსად ვარგოდეს და პროზა კიდევ—დასაჯერებელი იყოს. აბა როგორ დავიჯეროთ ასეთი ამბავი: „მამასახლისმა გლეხებს ჩამოუარა ყანებში, სახნისი ყველას დააძრო გუთნებზეო და იმდენი სახნისები მოაგროვა, რომ კანცელარიის ერთი ოთახი სულ გამოტენაო". თუ ეს მართალია, მაშინ ამნაირი ლექსი მოიწერეთ და დაგიბეჭდავთ.

ნამდვილი გიჟი ყოფილა,
ეს ჩვენი მამასახლისი!
ჩამოუარა ყანებში,
გლეხებს წაართვა სახნისი!..
იძახის: „ხერხი ვისწავლე,
ადვილი, „ახალ-მოდისო"!
წამოდით, გზები აკეთეთ—
მაზრის უფროსი მოდისო".

ბატონი ღორი უზრუნველათ ცხოვრობს!

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. 12. გამომცემელი მ. ლელაშვილი.